GEORGIAN EMPLOYERS ASSOCIATION

NEWSLETTER

ივლისი, აგვისტო, სექტემბერი, 2017

- პროფესიული განათლებისა და სწავლების პროექტის მიმდინარე შედეგები განხილვა
- კონფერენცია შრომის უსაფრთხოების საკითხებზე
- ჩატარდა ტრენინგი - პირველადი სამედიცინო დახმარების შესახებ
- გაიმართა ტრენინგი თემაზე - პრაქტიკული ციფრული მარკეტინგი
- ახალი რეგულაციები ნარჩენების გადამუშავების შესახებ
- ჩატარდა ტრენინგი შრომის უსაფრთხოების საკითხებში

"საქართველოს დამსაქმებელთა ასოცოციაციის" ინიციატივით გაიმართა კონფერენცია შრომის უსაფრთხოების საკითხებზე

ბიზნეს გაერთიანება „საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის“ ინიციატივით, დამსაქმებელთა საერთაშორისო ორგანიზაციის (IOE) ეგიდითა და ევროკავშირის მხარდაჭერით, გაიხსნა ორდღიანი კონფერენცია თემაზე: „შრომის უსაფრთხოების არსებული პოლიტიკა, გამოწვევები და პერსპექტივები საქართველოში“.

კონფერენცია მიზნად ისახავდა შრომის პოლიტიკის არსებული სიტუაციისა და პერსპექტივების შესახებ პოზიციების წარმოდგენას ყველა დაინტერესებული მხარის მიერ.

აღნიშნული მიზნის ფარგლებში კონფერენციაზე გაჟღერდა საქართველოს მთავრობის ხედვა შრომის უსაფრთხოების არსებული მდგომარეობისა და პერსპექტივების შესახებ. საქართველოს პოფკავშირებმა, თავის მხრივ, წარმოადგინეს პოზიცია და მთავარი პრობლემური საკითხები აღნიშნული საკითხის ირგვლივ. საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციამ და მისმა წევრმა კომპანიებმა წარმოადგინეს მათი მოსაზრებები შრომის უსაფრთხოების არსებული მდგომარეობის შესახებ. ხოლო საერთაშორისო ორგანიზაციებმა კონფერენციის მონაწილეებს გაუზიარეს საერთაშორისო გამოცდილება და ადამაინის უფლებები შრომს უსაფრთხოების პოლიტიკის აღსრულების ფარგლებში. კონფერენცაზე მისასალმებელი სიტყვით წარდგნენ და მიმოიხილეს შრომის უსაფრთხოების არსებული პოლიტიკა ბიზნეს გაერთიანება „საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის“ პრეზიდენტმა ელგუჯა მელაძემ, ქ. თბილისის მერის მოადგილე ირაკლი ლექვინაძემ, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომისა და დასაქმების პოლიტიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელის მოადგილე პაატა ჟორჟოლიანმა, საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების ხელმძღვანელმა ირაკლი პეტრიაშვილმა, ევროკავშირის ელჩის მოადგილემ საქართველოში კარლო ნატალემ, დამსაქმებელთა საერთაშორისო ორგანიზაციის მრჩეველი პიერ ვინსენსინმა და დამსაქმებელთა ორგანიზაციების რეგიონალურმა კოორდინატორმა (რეგიონალური ოფისი ILO) ვლადიმერ ჩუროვიჩმა.

კონფერენციის მეორე დღე დაეთმო დამსაქმებელთათვის შრომის უსაფრთხოების სერვისების ეფექტური მოდელის შემუშავებასა და ქვეყანაში მძიმე, მავნე და საშიშპირობებიანი სამუშო ნუსხის შემუშავება/შეთანხმებას.

კონფერენციის მეორე დღის პირველი სესია დაეთმო საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის შრომის უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტის შემუშავებას. ასევე, საერთაშორისო ექსპერტების (ILO, IOE, ITC ILO) რეკომენდაციების საფუძველზე განისაზღვრა ასოციაციაში არსებული შრომის უსაფრთხოების სერვისების განვითარების გზები და საშუალებები.

ამასთან, საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციამ დაინტერესებულ მხარეებს წარუდგინა ორგანიზაციაში განორციელებული შრომის უსაფრთხოების მხარდამჭერი ღონისძიებების ანგარიში.

მეორე სესია დისკუსიის რეჟიმში წარიმართა. დამსაქმებელთა ასოციაციის წარმომადგენლებმა, ექსპერტებმა, შრომის უსაფრთხოების მენეჯერებმა, პროფკავშრებმა, მთავრობის წარმომადგნლებმა და არასამთავრობო სექტორმა იმსჯელეს მძიმე, საშიშპირობებიანი და მავნე სამუშაოთ ნუსხის შესახებ. შედეგად, შემუშავდა აღნიშნული სიის პირველადი ვერსია, რომელიც შემდგომში გადაიხედება და საბოლოო სახით ჩამოყალიბდება უახლოეს პერიოდში.

შრომის უსაფრთხოების თემაზე გამართულ კონფერენციაზე 50-ზე მეტი ორგანიზაცია/კომპანია იღებდა მონაწილეობას.

ახალი რეგულაციები ნარჩენების გადამუშავების შესახებ

ბიზნეს გაერთიანება „საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის“ წარმომადგენლები ესწრებოდნენ პროექტის „ნარჩენების მართვის კოდექსით განსაზღვრული „მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების“ (მგვ) პრინციპის დანერგვის მხარდაჭერა“ პრეზენტაციას, რომელიც გარემოს დაცვის სამინისტროს ორგანიზებით გაიმართა.

აღსანიშნავია, რომ ნარჩენების მართვის კოდექსი რიგ ახალ ვალდებულებებს აკისრებს როგორც საჯარო, ასევე კერძო სექტორის წარმომადგენლებს. ერთ-ერთი ასეთი მოთხოვნაა „მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების“ (მგვ) პრინციპის დანერგვა საქართველოში. კერძოდ, კოდექსის მე-9 მუხლის თანახმად, ისეთი პროდუქტის უშუალო მწარმოებლები და ბაზარზე განმათავსებლები, რომელიც შემდგომ სპეციფიკური ნარჩენი ხდება, ვალდებულნი არიან, უზრუნველყონ პროდუქტისგან წარმოქმნილი სპეციფიკური ნარჩენის გარემოზე უარყოფითი გავლენის შემცირება და ასეთი ნარჩენების აღდგენა/განთავსება.

„ახალი მოთხოვნები, რომლებსაც კანონმდებლობა ბიზნესს უყენებს, ძირითადად მოითხოვს ხოლმე ადამიანური და ფინანსური რესურსების დამატებას კომპანიაში. რა თქმა უნდა, კერძო სექტორიის მხრიდან ეს მოითხოვს დამატებით ინვესტიციებს, ფულადი რსურსის დანახარჯებს, რაც არ არის კარგი, რადგან ეს საბოლოო ჯამში იგი გავლენას ახდენს პროდუქტის თვითღირებულებაზე და იზრდება მისი ფასი“ - აღნიშნავს საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი ლაშა ლაბაძე.

ბიზნეს გაერთიანება GEA გეგმავს აქტიური საინფორმაციო კამპანიის დაწყებას წევრი კომპანიებისთვის ახალი რეგულაციების გაცნობის მიზნით, რათა მომზადებულები შეხვდნენ ღნიშნულ სიახლეებს.

პროფესიული განათლების პოპულარიზება ქ. გორში

„ბიზნეს გაერთიანება საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის“ ორგანიზებით 12 სექტემბერს ქ. გორში მასშტაბური ღონისძიება გაიმართა - „პროფესიული უნარების გამომუშავება პრაქტიკაში - პროფესიულ სახლში სიმულაციური მაგალითების გამოყენებით“. ღონისძიება გაიმართება გერმანიის ხელისუფლების მხარდაჭერით მიმდინარე პროექტის - „პროფესიული განათლებისა და სწავლების პარტნიორობის პროექტის სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში“ ფარგლებში.

ღონისძიების მიზანს წარმოადგენდა დუალური სწავლების პოპულარიზება და სკოლის მოსწავლეების დაინტერესება პროფესიული განათლებით. ამ მიზნით გორის რამდენიმე სკოლის მოსწავლეებმა გაიარეს სიმულაციური პრაქტიკის სამუშაოები კონკრეტული უნარების გაცნობის მიზნით, რათა უშუალოდ პროფესიასთან შეხებით დაინტერესებულიყვნენ პროფესიული განათლების მიღებით.

აღსანიშნავია, ღონისძიების უპრეცედენტო ფორმატი, რომელიც გულისხმობს სკოლის მოსწავლეების მიერ ინსტრუქტორების დახმარებით სიმულაციური სახლის მშენებლობასა და რემონტს. პრაქტიკული სამუშაოების დასრულების შემდეგ გაიმართება სემინარი სახელწოდებით "სამეწარმეო აზროვნების განვითარება", რომელსაც, ასევე, ესწრებოდნენ მოსწავლეები.

ღონისძიებას ესწრებოდნენ პროექტის მენეჯმენტი, საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის წარმომადგენლები, სკოლის მოსწავლეები, მშობლები, მასწავლებლები, პრაქტიკის ინსტრუქტორები, ადგილობრივი მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები, პროექტის გრძელვადიანი ექსპერტი დირკ რონეკე, მედია და სხვა დაინტერესებული პირები.

პროექტის მიზნებიდან გამომდინარე მნიშვნელოვანია ბიზნეს სექტორის ჩართულობა, როგორც კონკრეტული ღონისძიების, ასევე მთლიანად პროექტის მიმდინარეობის პროცესში. პროექტის მხარდამჭერები არიან კომპანიები „ნოვა“, „გუდვილი“, „ახალი ნათება“, „მინა“ და „დიო“.

პროფესიული განათლებისა და სწავლების პროექტის მიმდინარე შედეგების განხილვა

13 სექტემბერს, საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის საკონფერენციო დარბაზში გაიმართა პროფესიული განათლებისა და სწავლების პროექტის მიმდინარე შედეგების წარდგენა დაინტერესებული მხარეებისთვის.

დაგეგმილი შეხვედრა მნიშვნელოვანი იყო იმდენად, რამდენადაც წარმოდგენილი იქნა ყველა დაინტერესებული მხარე და დაფიქსირდა მათი პოზიციები შრომის ბაზარზე არსებული პრობლემური საკითხების შესახებ. შეხვედრას ესწრებოდნენ ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები, პროექტის გერმანელი ექსპერტები, ბიზნეს სექტორი, საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარმომადგენლები და ა.შ.

აღნიშნული პროექტის განხორციელება საქართველოში „საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციამ“ 2016 წლიდან დაიწყო გერმანიის ხელისუფლების მხარდაჭერით და მიზნად ისახავს შრომის ბაზარზე ადამიანური რესურსების გაძლიერებას და საუკეთესო თანამშრომლობითი მაგალითების შექმნას ბიზნეს სექტორს, საგანმანათლებლო დაწესებულებებსა, დასაქმებულებს/სამუშაოს მაძიებლებს შორის.

დაგეგმილი შეხვედრა მიზნად ისახავდა პროფესიულ განათლებასა და სწავლებასთან დაკავშირებით შემდგომი თანამშრომლობის გაძლიერებისთვის მხარეების მიერ ყველა იმ მიმართულებისა და აქტივობის განხილვა, რომელიც მნიშვნელოვანია ამ თვალსაზრისით.

ამ მიზნით შეხვედრაზე მხაქრეებმა განიხილეს შემდეგი საკითხები:

- ქართულ-გერმანული გამოცდილება დუალური სწავლების სისტემაში; გამოცდილება ერთობლივი პროექტის ფარგლებში;
- საუკეთესო პრაქტიკის მაგალითები საქართველოში პროფესიული განათლებისა და სწავლების პროექტის ფარგლებში;
- პროექტის პრაქტიკული მოდულის - „პროფესიული სახლის„ პრეზენტაცია;
- პროექტის საუკეთესო პრაქტიკის მაგალითების მულტიპლიკაციის შესაძლებლობები.

სამუშაო შეხვედრა დატვირთული იყო დისკუსიებით, რათა ყველა დაინტერესებულ მხარეს წარმოადგინა უკუკავშირი და შეფასებები.

ტრენინგი თემაზე „ეფექტური მომსახურება, სერვის პლუსი“

ბიზნეს გაერთიანება „საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციაში“ 22-23 სექტემბერს ჩატარდა ტრენინგი თემაზე „ეფექტური მომსახურება, სერვის პლუსი“.

ტრენინგი შემდეგ მიზნებს ემსახურებოდა:

- თანამშრომლების კომპეტენციების გაცნობა;
- თანამშრომლების მომსახურების კომპეტენციების ამაღლება;
- მონაწილეები დაეუფლონ მომსახურების ეტაპის თითოეულ საფეხურს და გაიუმჯობესონ მომხმარებლებთან დარწმუნების უნარი;
- ვერბალური და არავერბალური კომუნიკაციის გაუმჯობესება;
- მოტივაციის და ინტერესის ამაღლება მომსახურების სფეროსადმი;
- მონაწილეების შეფასებაში მხარდაჭერა;

ამ მიზნის მისაღწევად ტრენინგზე განიხილეს შემდეგი თემები:

- კომპლექსური მომსახურების (და გაყიდვების) ახსნა;
- მომსახურების ეტაპების მიმოხილვა;
- კეთილგანწყობის მოპოვების ფაქტორები: შთაბეჭდილების ეფექტი, ვერბალური კომუნიკაცია;
- ეფექტური მომსახურების სტანდარტების გავლა;
- კეთილგანწყობილი ხმა;
- სახელით მიმართვა;
- ინიციატორობა და პასუხისმგებლობა;
- მომსახურებისთვის არა სასურველი ფრაზების, სიტყვების-პოზიტიურ ჭრილში გარდაქმნა;
- სწორად მოთხოვნილების გამოვლენის ეტაპები;
- მოსმენის უნარის გაუმჯობესება;
- კითხვის დასმის გზების მეთოდები;
- დამატებითი სერვისის შეთავაზების ფორმა;
- პრაქტიკული ქეისების განხილვა;
- მომხმარებლების დარწმუნების ტექნიკები;

საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია ბიზნეს სექტორის სისტემატურად სთავაზობს სხვადასხვა აქტუალური თემების ირგვლივ გამართულ ტრენენგებში მონაწილეობის მიღებას როგორც წევრი, ისე არაწევრი კომპანიების წარმომადგენლებს.

ტრენინგი შრომის უსაფრთხოების საკითხებში

საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციაში გაიმართა კომბინირებული ორდღიანი ტრენინგი სახანძრო უსაფრთხოება რისკების შეფასება სამუშაო ადგილზე.

სატრენინგო პროგრამის მიზანი:

- კომპანიებისთვის საწარმოში არსებული სახანძრო საფრთხეების გამოვლენის მეთოდების შესწავლა;
- სახანძრო და ელექტრო უსაფრთხოების იმ აუცილებელი ინსტრუქციებისა და პროცედურების შესწავლა, რომელიც უნდა ჰქონდეს შემუშავებული ნებისმიერ კომპანიას, მიუხედავად მისი სიდიდისა.
- ტრენინგის შემდეგ მონაწილეებმა უნდა შეძლონ სახანძრო უსაფრთხოების სისტემის დანერგვა და საევაკუაციო სქემების შემუშავება.
- საწარმოში/ ორგანიზაციაში სამუშაო ადგილზე არსებული საფრთხეების გამოვლენის, რისკების განსაზღვრის/შეფასების, მათი შემცირების ან აღმოფხვრის მეთოდებისა და სისტემური მიდგომების შესწავლა.

აღსანიშნავია, რომ პროგრამა პრაქტიკული გამოყენებისაა და ასეთი სისტემის დანერგვა ნებისმიერ კომპანიას შეუძლია.აქვე უნდა ავღნიშნოთ, რომ შრომის და ჯანმრთელობის უსაფრთხოების პირობებისთანამედროვე სტანდარტების და მიდგომების დანერგვა, საშუალებას იძლევა არა მხოლოდპერსონალის უსაფრთხოების გარანტიებს, არამედ ხელს უწყობს კომპანიის შემოსავლებისზრდას.

კერძოდ:

- იზრდება შრომის პროდუქტიულობა;
- მცირდება მოცდენები და გაცდენები;
- იზრდება შრომის მოტივაცია;
- მცირდება ტექნიკური საშუალებების დაზიანებები და მათ აღდგენაზე დანახარჯები;

ტრენინგს ესწრებოდნენ საწარმოების/ორგანიზაციების ტექნიკური მენეჯერები და შრომისა და ჯანმრთელობის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი სპეციალისტები.

ტრენინგზე განხილული იყო ყველა ის მოთხოვნა და რეგულაცია, რომლებიც მოქმედებაშია და რომლის საფუძველზეც განხორციელდება შრომის პირობების მონიტორინგი.

ტრენინგს უძღვებოდა ასოციაციის შრომის უსაფრთხოების ცენტრის ILO–ს (შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის) სერტიფიცირებული ტრენერი დავით ჩიჯავაძე.

ტრენინგის დასასრულს მონაწილეებს გადაეცათ სერტიფიკატები!

ბიზნეს გაერთიანება "საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია" სისტემატურად მართავს ტრენინგებსა და კონსულტაციებს შრომის უსაფრთხოების მიმართულებით კომპანიების გაძლერების მიზნით.

ტრენინგი - პირველადი სამედიცინო დახმარების შესახებ

ბიზნეს გაერთიანება GEA-ს ორგანიზებით კომპანია „რომპეტროლის“ თანამშრომლებისთვის გაიმართება ტრენინგი თემაზე: „პირველი დახმარების კურსი არასამედიცინო პერსონალისთვის“.

კორპორატიული ტრენინგის მიზანს წარმოადგენდა არასამედიცინო პერსონალისათვის ექიმამდელი პირველი დახმარების სწრაფად და სწორად გაწევის სწავლება თანამედროვე სტანდარტების მიხედვით, პირველადი დახმარების პრაქტიკული უნარ-ჩვევების შეძენა.

კურსი შეიქმნა არასამედიცინო პერსონალისათვის დაზარალებულთა პირველადი გადაუდებელი დახმარების შესასწავლად. მსმენელები გაეცნობიან პირველადი გადაუდებელი დახმარების რაობასა და მიზნებს. შეისწავლეს პირველი დახმარების გაწევა ტრავმის, სისხლდენის, ინტოქსიკაციის, გულისწასვლის, მოხრჩობის დროს. ასევე გულ-ფილტვის რეანიმაციას მოზრდილებში და ბავშვებში.

კურსი რომელიც თეორიულ, ასევე პრაქტიკულ მეცადინეობებს მოიცავდა, აგებულიაი იყო თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე.

მსმენელები პრაქტიკულად დაეუფლნენ პირველი გადაუდებელი დახმარების გაწევის ტექნიკას მულტიფუნქციური მანეკენებისა და სიმულატორების გამოყენებით.

საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია სისტემატურად სთავაზობს კომპანიებს როგორც კორპორატიულ, ისე ჯგუფურ ტრენინგებს შრომის და ჯანმრთელობის უსაფრთხოების თემატიკაზე, რათა კომპანიებში გაიზარდოს ცნობიერება ამ მიმართულებით და მომზადებულები შეხვდნენ შრომის ინსპექციის მონიტორინგს.

ტრენინი თემაზე პრაქტიკული ციფრული მარკეტინგი

ბიზნეს გაერთიანება „საქართველოს დამსაქმებელთა ასოცაიციაში“ (GEA) პრაქტიკული ციფრული მარკეტინგის ტრენინგი გაიმართა, რომელიც მიზნად ისახავდა თანამედროვე საკომუნიკაციო გზების განვითარებისათვის საჭირო უნარ-ჩვევების გაუმჯობესებას კომპანიების წარმომადგენლებისთვის.

.

ტრენინგი დატვირთული იყო პრაქტიკული და ჯგუფური ინტერაქტიული სავარჯიშოებით. მონაწილეებმა საკუთარი კომპანიების მაგალითების განხილვის საფუძველზე გამოავლინეს დადებითი და უარყოფითი მხარეები არსებული სიტუაციის და დასახეს გეგმები სამომავლოდ წარმატებული პოზიციონირებისთვის ციფრული მარკეტინგის მიმართულებით.

კერძოდ, განიხილეს შემდეგი თემები:

- ციფრული მარკეტინგი 101
- ვებ გვერდის ტიპები და არქიტექტურა
- SEO მუშაობის პრინციპი, ოპტიმიზაცია, მარტივი აუდიტი
- სოციალური მედიის არხები და ინსტრუმენტები
- Google Adword,
- Google Analytics
- Facebook Ad
- E-mail Marketing

ტრენინგის დასასრულს მონაწილეებს გადაეცათ GEA-ს სერტიფიკატები.

აღსანიშნავია, რომ ციფრული მარკეტინგის მნიშვნელობა დღითიდღე იზრდება, შესაბამისად, აუცილებელი ხდება როგორც ბიზნესის განვითარების სტრატეგიის, ასევე მარკეტინგული ინსტრუმენტების ახალ ტენდენციებზე მორგება, ასევე საერთაშორისო პრაქტიკის ადგილობრივ ბაზარსა და სპეციფიკაზე ადაპტაცია. საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია ბიზნეს სექტორს სისტემატურად სთავაზობს ტრენინგებს მათთვის აქტუალურ თემებზე.

GEORGIAN EMPLOYERS ASSOCIATION

ბიზნეს გაერთიანება

საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია

0159, საქართველო, თბილისი,
ა. ბელიაშვილის ქ. #8

T: +995 32 2 14 73 73

M: +995 579 555 551

E: employer@employer.ge

www.employer.ge